თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4822354

ნომერი: AR1727748

თარიღი : 08.01.2020

გაცემის თარიღი : 15.01.2020

გაცნობის თარიღი : 16.01.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პეკინის , N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონა ლაგურაშვილი პ/ნ 01014003799
- თბილისი ს.დოდაშვილის ქ. N 40

ორგანიზაცია:

- შპს"ვიონი საქართველო" კოდი: 20445084

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. ვინაიდან „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის მიერ გამოვლენილ იქნა არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობასთან შეუსაბამობა, მათ ხელთ არსებული ფოტომასალიდან ირკვევა, რომ ანტენები უკვე განთავსებულია ობიექტზე, ასეთ შემთხვევაში ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ ან უნდა განახორციელოთ ნაწარმოები მშენებლობის სრული დემონტაჟი, რომლის დამადასტურებლად წარმოდგენილი უნდა იყოს დემონტაჟის შემდგომი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი დადგენილება, უნებართვოდ დაწყებული მშენებლობის დემონტაჟის განხორციელების თაობაზე.
02. გაცნობებთ, რომ განცხადებაზე აქვს წარმოდგენილია 01.10.17.011.027.01.501 კოდით რეგისტრირებული ფართის ამონაწერი, ხოლო რუკაზე მონიშნულია სხვა ფართის ამონაწერი. საჭიროა განმარტოთ და გრაფაში (განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე) დააზუსტოთ რომელია საპროექტო ფართი (აღნიშნულისათვის ისარგებლეთ რუკის ცვლილების ღილაკით). იმ შემთხვევაში, თუ 01.10.17.011.027.01.500 კოდით რეგისტრირებული ფართი თუ არის საპროექტო წარმოსადგნია აღნიშნულ ფართზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ხოლო იმ შემთხვევაში ტუ 01.10.17.011.027.01.501 კოდით რეგისტრიებული ფართია საპროექტო წარმოადგინოს რეესტრში რეგისტრირებული სარგებლობის ყველა საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.